




თეატრი სსსრსსს

1910 სათეატრო სალიტერ. კვირეული ჟურნალი № 3

შინაარსი: საზოგადოებათა გაერთიანება, მეთური; მომავალი მსახიობი, პ. დღეაძისა; სიტყვა-კაზმულ ნაწარმოებში საერთო დღეაძისა, ლევ. მეტრეველისა; წყურვილი—პიესა, გაგრძელება, ს. გლაზაშვილისა; ქართული თეატრი, კონსტანტინე-ანდრონიას; ჩვენი მსახიობნი, მოდ. ს. გლაზაშვილისა; დრამის მოკლე ისტორია, ნარვილისა; სცენა სცენისათვის, ვ. ურუშაძისა; სომეხთა დრამატურგნი; ჩვენი დრამატურგნი; ჩვენი მსახიობნი; სახალხო თეატრის მოღვაწენი; ლექსნი; რ. ბებიაშვილისა; გ. ტაბიძისა; კ. ფშაველასი და სხ; სურათები.



სიკვანია დრამატურგი გ. ნ. სუნდუკიანი

17 იანვარი 1910 წ.


საზოგადოებათა ჩვენი ქვეყანა წარსულ-გაერთიანება. ში განკერძოებამა და

თემურ-ხეობურმა მემულმოყვარეობამ დალუბა, ყველა ხეობის, ყველა კუთხის ერისთავ-ბატონი თავისთვის იყო გამეფებული და შირად, გარე-შე მტერთაგან რომ მოიკლიდა, თავისავე სისხლ-ხორკს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძოდა. ჩვენი ისტორიის კაბადონები სისხლის ასოვებით არის დაწერილი: ამერეთ-იმერეთის, გურია-სამეგრე-

დამსახურებული მსახიობი.



კონსტანტინე სემიონის ძე მესხი
30 წასცენო მოღვაწეობის გამო.



ლოს, აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთმანეთთან დაახლოვებაზე ფიქრიც-კი ხომ ოცნება იყო... და ვიმეორებთ, ამან დაასუსტა, დასცა, მიწასთან გაასწორა ევოლენდ ბუნებით მდიდარი ჩვენი ქვეყანა...

ალბად სწორედ ეს არის მიზეზი, რომ ამდენად ნაიჭერ და ბუნებით მდიდარ ხალხში მსოფლიო გენიოსის იშვიათად გამოჩენილან... შოთას შემდეგ ხომ ჩვენს ქვეყანას მსოფლიო გენიოსი არა ჰყავს; და შოთაც ჩვენის ქვეყნის კულტურულად დაწინაურების შვილია, იმ ხანისა, როდესაც თამარმა თვისი სხივისნობა ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეს მოაფინა...

ოცმა საუკუნემ ჰუა ვერ გავსწავლა, გაკვეთილი ვერ მოგვცა...

მიმოიხედეთ, ჩვენში თუ რაიმე საზოგადო დაწესებულებანი გვაქვს დაარსებული, ყველა ცალკე-ცალკე კარ-ჩაკეტილი, და არამც თუ ურთი-ერთს ხელი გაუწოდონ, თავიანთი განმანათლებელი, ცოდნის გამავრცელებელი ძალნი ურთი-ერთს შეაწიონ, ე. ი. კულტურული მუშაობა გააერთიანონ, არამედ ხშირად თითქმის ერთმანეთს ხელსაც უშლიან...

ამისი მაგალითები ხშირია და, ალბად, კულტურულ მუშაობის გაერთიანებაზე პრესა წინადადეგ ამოიღებდა ხმას,—ჩვენ ამას მხოლოდ კიდევ ერთხელ გაკვრით მოვაგონებთ ჩვენს საზოგადო მოღვაწეთ და გადავალთ წერილის პირდაპირ საგანზე...

წინა წერილში უკვე აღვნიშნეთ თეატრის მნიშვნელობა ჩვენი ხალხის კულტურულ დაწინაურებისათვის — მიუღიითეთ აგრეთვე ზოგიერთ საჭიროებაზე... მაგრამ, თითქო ჩვენის თეატრის მეთაურთ—დრამატულ საზოგადოებათა მესვეურთ—არა ჰქონდეთ გათვალისწინებული, რა მიზანს ემსახურებიან. ამის მაგიერ, რომ ურთი-ერთს ხელი შეუწყონ, მაგ., ქუთაისისა და თბილისის დრამ. საზოგადოებანი ერთმანეთს ხელს უმართავენ, თითქმის ხელსაც უშლიან, რასაკვირველია, აშკარად-კი არა, არამედ გვერდ-შეხვევით, ფარულად...

ამის დამამტკიცებელი საბუთები ხელთა გვაქვს, და იმდენად ჰუჭყინია, რომ მათი გამოაშკარავება ვეტიად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ ხმა დადის, ვითომც, ასეთი ქვებუდნაობა რაოდენიმე კერძო პირთა საქმე იყოს...

ჩვენის დრამ. საზოგადოებათა მესვეურთ კარვად უნდა იცოდნენ, რომ სხვა ქვეყნებში თუ ამგვარი საზოგადოებანი და მსახიობნი კერძო ინტერესთა მიმდევრებადაც არიან ცნობილი, ჩვენში დრამატ. საზოგადოებაც და მსახიობიც მხოლოდ საზოგადო მოღვაწენი არიან,—ერთი და მეორეც საზოგადო საქმეს ემსახურებიან, და ამიტომაც, რაც რომელიმე კერძო ანტრეპრენიორს მიეტევენა, ის ვერ მიეტევენა ჩვენი ქვეყნის დრამ. საზოგადოებათ.

სამწუხაროდ, ვიმეორებ, თითქო ასეთს შეგნებას მოკლებულნი იყვნენ ჩვენი დრამ. საზოგადოებანი, ყველა თავისთვის კერძოდ თოხარკობს...

ამ გზით სიარული ხელს არ მისცემს ჩვენს სცენას, მით უმეტეს, რომ რიგიანი მსახიობი სულ რამდენიმე გვეყავს და მათი დანაწილება, დაყოფა არც ქუთათურებს არგებს და არც თბილისელებს... კარგს მსახიობს თუ შესაფერი პარტნიორი, მხარის დამჭერი არა ჰყავს, ვერც მისი თამაში ახდენს შესაფერ შთაბეჭდილებას...

საჭიროა, ჩვენის ქვეყნის დრამატულ საზოგადოებათ ანგარიში გაუწიონ ამ საგანს, დანიშნონ საერთო სიეზი, ძალნი შეაერთონ, თავიანთ მოქმედებას ერთი მიმართულება მისცენ... ექვს გარეშეა, რომ ერთი ქართული დრამატული დასი, ამერ-იმერელთაგან გამორჩევით შედგენილი, უფრო რიგიანად გამართავს წარმოდგენებს და მაშინ იგი კარ-ჩაკეტილი-კი არ უნდა იყოს, არამედ იმოგზაუროს,—თბილისსა, ქუთაისს, ბათუმსა, ბაქოსა, ვანჯასა, კავკასია და სხვა დაბა-ქალაქებში...

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ორივე მხარე მოგებული დარჩება: დრამ. საზოგადოებანი მსახიობებით და მაყურებელი—ხალხიც...



მ. ვარეს

მშენებათ სესე, შუქ-მოყვარე,
ცისა სიარტში მისცურავს მთავრე;
ნათელს ჭიფის აქს, ტანჯულს, მწუხარეს,
ძმით შემოსილს და მგლოხარეს.

აფრქვევ, მთავარეკ, შუქი ნათელა და განათელა დამე შეგნელი, — თუ შუქი ავსუელი შეუქდაის ხელს, მოკეთებებს შეგებს სთიფელს.

6. დიდებულიძე

გომავალი მსახიობი

(ფიქრნი და შთაბეჭდილებანი)

„აი, აქ — გულშია ჩვენი რეჟისორა!...“

დე-გრასო

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ჩვენს თეატრს დიდ ყურადღებას ვაქცევთ. საკვირველი აქ არაფერია: ყოველი ჩვენგანი მხნედ იცავს თავს სხვა და სხვა სწეულებათაგან და, თუ აღმოჩნდა ავადმყოფობა, მყისვე აქიშობას შეუდგება ხოლმე. თეატრი, — განსაკუთრებით ჩვენი თეატრი ჩვენთვის მეტად ძვირფასი, მეტად სათუთი ორგანიზმია, რომ მის დაქვეითებასა და ბედშავობას ყურადღება არ მივაქციოთ. იგი თითქოს გაყინულია ერთ ადგილს, — ვედარც წინ წასულა; უკან დახევვაზე ხომ ლაპარაკიც შეუძლებელია. ჩვენი ცხოვრება, ჩვენი საზოგადოებრივი შეგნება, გემოვნება და შეხედულება ხელოვნებაზე არსებითად განსხვავდება წარსულისაგან, ასე რომ უკან დაბრუნება სრული უარყოფა იქნებოდა ჩვენი ზრდა-განვითარებისა. ამ შემთხვევაში თეატრი საზოგადოებისა და მის მოთხოვნილებათა გარეშე იქნებოდა; იგი უღალატებდა თავის დანიშნულებას: იგი აღარ იქნებოდა ცხოვრების სარკე, ცხოვრების სკოლა, მაყურებელთა განმარბების ფაქიზად აღმზრდელი და გამაძლიერებელი. ასეთი თეატრის ბოლო: — უღმობელო სიკვდილი არის, მძიმე წარმოსაქმელია, მაგრამ ასეთივე ბედი უწყრია ჩვენს თეატრს ერთ ადგილზე დგომისაგან.

რუსეთში დიდ ყურადღებას აქცევენ თეატრის ცხოვრებას. აქ, რუსეთში თეატრის გარეშემო ცხოვრება დულს, ეთიბენ და იკვლევენ ახალ გზებს ხელოვნებისას, ახალი მიმდინარეობა მზადდებს ახალს მსახიობთ, ზრდის მათ, აწვითარებს; აქ ძველი რეალიზმი ადგილს უთმობს მისტიკურს სიმბოლიზმს, რომ შემდეგ ნეო-რეალიზმში ჰპოვოს მყუდრო ნათესადგუ-

რი; აქვე ცდილობენ ამოდ ჩვეულებრივ სცენას სათუო თეატრი დაუბირდაპირონ, რომ მსახიობს ფართოდ გაუხსნან გზა შემოქმედებითი მუშაობისათვის. ასეთი ვახუბრებულნი მოძრაობა რუსეთის ხელოვნებაში (თეატრში), და ამ მოძრაობაში ჰპოვებს იგი მაცოცხლებელ ძალას. ასეთია ის გზა, რომელსაც რუსეთის თეატრი ადგია: გზა ზრდისა. ჩვენი თეატრისათვის ყველა გზა ერთხელ გამეფებულ შაბლონისაყენ მიდის. მისტიკურს სიმბოლიზმს ვინდა დაქმდეს, როდესაც რეალიზმიც ჩვენთან პირველ საფეხურზეა მხოლოდ ასული?! როგორ ვილაპარაკოთ სათუო სცენის შესახებ, როდესაც ჯერ არ დამტკბარვართ გემოვნებით მოწყობილს, დროის შესაფერის დეკორაციებით და ავეჯით, როდესაც ჩვენი სცენა ყოველთვის ცარიელია, მოდულწი, ნესტიანი? მაგრამ ასეთი მდგომარეობა ხომ შეუწყნარებელია? მას უნდა რაიმე ეშველოს და ამ აზრით გატაცებულნი უნდა ვმუშაობდეთ მისი გაუმჯობესებისათვის.

რა ნეტარებაა, როდესაც ჩვენ დაბნელებულს თეატრში უეცრად შემოაშუქებს ხელოვნების ლამაზი! იგი სხვის სტყორკნის უძრავ ტილოს და აახმაურებს, გამოაფხობს მსახიობს და შეარბებს დაუღვევარ მაყურებელს. ასეთი წუთი ძვირია და ძვირფასი ჩვენთვის: ის უნდა გვამხნევედდეს და ფრთას ასხადვდეს ჩვენს იმედებს.

ჩვენი თეატრის გამოცოცხლებას მარტოოდენ ახალი, მომავალი მსახიობი შესძლებს, და ამიტომ ჩვენი იმედიც აქედ უნდა იყოს მომართული, — მომავალი მსახიობისყენ. ძველმა მსახიობებმა განვლეს თავისი გზა, — ქეშმარიტად ნარეკლიანი გზა, — საფუძველი ჩაუყარეს თეატრს, ხალხი მიაჩვიეს ამ დაწესებულებას; იგინი აღიზარდენ ძველ რეპერტუარზე, ძველ სცენაზე; მათ აღარ ძალუძთ კვლევა-ძიება ახალი გზებისა ხელოვნებაში, და ამიტომაც მათი შიში და გაუბედავობა ბუნებრივია. ჩვენ სცენას ახალი, ენერჯით სავსე, სცენის სიყვარულით გატაცებული მსახიობები ესაჭიროება უპირველესად ყოვლისა. და თუ ამ წერილით ჩვენს ოლნავ მაინც გამოვარკვევთ მომავალი მსახიობის სახეს, — მიზანი სავსებით მიღწეული იქნება.

ვინც კოტათი მაინც იცნობს ჩვენი თეატრის ისტორიას, იგი უსათუოდ შენიშნავ-

და, რა რიგ ერთფეროვანი იყო პირველ ხანად ჩვენი თეატრის რეპერტუარი. იმ დროს თეატრი ის-ის იყო ფესვს იდგავდა ჩვენში, მას უფრო გასართობი ხასიათი ჰქონდა, ვინემ იმ ღრმა აღმზრდელივით, კულტურული მიზანია, რომელსაც იგი ამ ეჟამად უნდა ემსახურებოდეს. მას უნდა შეეჩვია ხალხი, შეეყვარებინა თავისი თავი, აუცილებელ საჭიროებად გადაექცია თავისი თავი, მოეპოვებია ღრმა, კულტურული ავტორიტეტი. თუ ასეთი მიზანი დავუსახეთ მაშინდელ თეატრს, მაშინ ადვილი ასახსნელია, რომ პირველი კომედიები და ვოდევილები მეტად ვიწრო საგანს შეეხებოდა. აქა ჰპოვებდა მკურებელი თავისი დღიური ქირ-ვარამის პასუხს; იციენბდა მრავლად ცხოვრებიდან ამოღული სურათის დანახვზე და თითქმის საყვებით დაკმაყოფილებული ბრუნდებოდა შინ. ასეთი პიესები ფოტოგრაფიას წარმოადგენენ, ცხოვრების სურათი უნაკლულათაა გადმოცემული; მაგრამ დაჩრდილულია, ხშირად სრულიად მივიწყებულია ადამიანი, მისი სულიერი „მე“. იგი თვითონ როდი არის ცოცხალი მოღა, არამედ ამა თუ იმ მდგომარეობის ან მძიმეების დასასურათებლათაა გამოყვანილი, — ადამიანს აქ მეორე ადგილი უჭირავს. ასეთია მოკლედ ჩვენი კომედიები და ვოდევილები თეატრის დაარსებისას. მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით ჩვენი თეატრის გაძლიერებაში. დიახ, სწორედ ასეთმა პიესებმა შეაჩვია ხალხი თეატრს და თითქმის ყველას კულტურულ მოთხოვნილებად გადააქცია იგი, — თითქმის მეთქი, ვამბობ იმიტომ, რომ ამჟამადაც არიან ისეთი პირნი, რომელნიც არ დაიარებიან ჩვენს თეატრში მარტოოდენ იმისა გამო, რომ დარბაზში შუამბრავი ქარი (ЕКВЗНОЙ ВЪТЕРЬ) დასერილობს; და მასაც ეშინია გაცოცებისა. მაგრამ ეს — სხვათა შორის.

მეორე მხრით ჯერ ისევ ცოცხალი იყო წარსული დროის მოგონებანი, ყველას თვალწინ ჰქონდა გადაშლილი მეტად რთული ისტორიული მომენტი (განმარტება მეტად მიმანჩია!), ყველასათვის მეტად ძვირფასი იყო ხატება ძველის მამულისშვილებისა. არავენ იცოდება, რას მოუტანდა მომავლი, და ამიტომაც წარსულში ეძებდენ მგავლითებს. ამ გრძობას მეტად ფრთხილი, ნაზი ხელი ესაჭიროებოდა

გასაძლიერებლად, მას პატრონობა ესაჭიროებოდა ასეთს მოთხოვნილებას ასრულებდენ პირველი დროის ისტორიული პიესები-პომეები. უნდა დაეხატათ რომელიმე მომენტი ჩვენი ისტორიული ცხოვრებისა, საჭირო იყო გაეძლიერებიათ სიმპატია ასეთი მომენტისადმი. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი ადამიანის სულიერი „მე“ დავიწყებული იყო. ძვირფასი იყო არა მისი სულისკვეთება, არა მისი ტანჯვა-წამება, არა მისი სულიერი ბრძოლა, არამედ ის, თუ რა პოზიციას დაიკავებდა იგი მდგომარეობის მიხედვით. ასეთი პიესები გრძობას უფრო მეტს სარჩო-საბადებელს აწვდიდენ, ვინემ გონებას, რადგანაც მათი დადგმა სცენაზე ყოველთვის ეფექტებთან იყო შეაკვირებული. მეტად მოსაწყენი უნდა ყოფილიყო ასეთი პიესა, თუ იგი ქართველის გამარჯვებით არ გათავდებოდა: ოს-მალა ან ლეკი უთუოდ პრილა. ხანჯლით უნდა გაეგმირა ქართველს.

ყოველივე ამით ჩვენ ასეთ პიესებს როდი ვართმევთ მათ მნიშვნელობას. პირ-იქით, ჩვენ უნდა ვაღვიაროთ, რომ მათ დიდი სამსახური გაუწიეს ჩვენი ხალხის სულიერ ზრდას, ვინაიდან ის ხალხი, რომელსაც არ ახსოვს წარსული, ვერც მომავალში ეძიებს რასმე. სხვისა რა მოვახსნოთ, მაგრამ ძნელი ასაწერია ის აღტაცება, რომელსაც იწვევდა ჩემში, — რვა წლის ბიჭში, — „მტარვალი“-ს, მაგ., უკანასკნელი სცენა, როდესაც ქართველი გამარჯვებას დღესასწაულობს. ამითვე აიხსნება ისიც, რომ ტრადიციულ „სამშობლო“-ს წარმოდგენის დროს ხალხით სავსეა ხოლმე თეატრი.

3. დადგამე

ს ა ე ს ი ა

ახ, ნუ შეახებთ ხელს ჩანჯის სიმებს,
 ქნაო მწუხარად აწრადადება;
 ცთურ კაქსათ ზედ დასცემიკიმებს
 მას უკვადვების ნა'ხი დვითა;
 არ ვიცი, რასთვის, განთადისას,
 მე მან გადამაგა წარადა ქნაო,
 და უთუოდ წიხსნას მეთხნას ჰანჯიასს
 თავს დაჭვარავტებს, როგარც ნა'ხმად.

ნუ, ნუ გასთვავთ იქნე ქვეშ შეგნებას,
 ნუ შეურაცხ-ყოფთ დაიქმნის ტყარს:
 ბედით რჩეულთა წრეველ მისწრაფებს,
 მათ იმედის სხავს და თავ-შესაფარს.
 ნუ შეურნებთ, რომ განთავადზე
 უფლოთ წამებულს აღმოხდა სული,—
 არა, ის სტოცხდაბს, ჩვენს მაშობად ცხადზე
 უფრო წარმტავი და დადებული!

გ. ტაბიძე



დრამატურგი ტრ. რამიშვილი

სიტუვან-კაშხელ ნაწარმოების
 საერთო დაფასება (გაგრძელება)

თუ სურათით გამოვხატავთ მეცნიერულ და
 მხატვრულ ნაწარმოებთა მოგზაურობას ადამი-
 ანში, ასე იქნება:

მეცნიერული ნაწარმოები ჯერ გონებაში
 შედის, მერე კი სწვდება გულს, მხატვრული-
 კი ჯერ გულში ჩასწვდება, მერე კი მიდის გო-
 ნებაში. ისე რომ გონება არის მეცნიერების
 ტრანსფორმატორი, გრძნობა კი ხელოვნებისა.
 და რადგანაც ჩვენს გიზნას შეადგენს უკანასკნე-
 ლის გამორკვევა, ამიტომ პირველ თავისუფა-
 ლია ჩვენს ანალიზისგან.

როგორცა ვსთქვი, გრძნობები, ანუ მათი
 სამეფო, გული, არის ხელოვნური ნაწარმოებ-
 თა ტრანსფორმატორი.

მაშ ის ყველაფერს კი არ აწვდის გონებას,
 რასაც მსურველი ნაწარმოებიდან იღებს, და არც
 ყველა იმ თვისებითა და იმ სახით, როგორც
 მას მიუღია, არამედ ბევრად უფრო მცირედ და
 ნაკლებს სილომაზით.

ამასთანავე ხელოვნების ტრანსფორმატორში
 გატარებული შთაბეჭდილება, რომელიც იგზავ-

ნება გონებისკენ, სულ ხომ გონების ლოდი-
 კით განათლებულ ნაწილში არ მიდის გონების
 ინსტიქტიურ სამფლობელოში, მაგრამ ამაზე
 ცოტა შემდეგ.

იქნება ბევრს ანატომსა და ფიზიოლოგს
 ააზვოთებს ჩემგან კაცის გონების ასე უცერ-
 მონიოთ დანაწილება, მაგრამ მე ხომ არ ვეხ-
 ბი ტვინს, კაცის ფიზიკურ მხარეს, არამედ მის
 სულიერ თვისებებს. ჩემი განაწილებაა ეს ფსი-
 ხოლოგიური განაწილება და არა ფიზიოლოგი-
 ურ-ანატომიური და ამიტომ სრული უფლება
 მაქვს მოვიქცე ისე, როგორც უფრო უმჯობე-
 სი იქნება ჩემი აზრის ნათლად გამოსახატავად.

თუმცა მეცნიერებამ დიდი ხანია დაამტკი-
 ცა, რომ ყველა გრძნობების ცენტრი, სიამოვ-
 ნებისაც და საზიზღრობისაც, სიხარულისაც და
 მწუხარებისაც, სიყვარულისაც და სიძულელილი-
 სიც არის ტვინი, ეს ინტელექტის ბუდე; მაგ-
 რამ ეს ახსნა არის უფრო გრძნობების ფორმი-
 სა, მისი ხეულის ახსნა და არა მისი სულისა.

რაც შეეხება ამ „სულის“ კვლევა-ძიებას,
 ამაზე დიდი ხანია მეკადნიეობს ფილოსოფია,
 მაგრამ აქამდის მიანც ერთი გარკვეული გზა
 არ არის ნაჩვენები.

მაგრამ ამ კითხვის უფრო დაწვრილებითა
 და საფუძვლიანად გამოკვლევა მიგვიღვია მო-
 მავალისთვის; ეხლა კი განცხრომით დაწყებული.

როცა გული ტრანსფორმაციას უშვრება
 მხატვრული ნაწარმოებიდან მიღებულ შთა-
 ბეჭდილებას, ყველაზე უფრო ღრმა, ყველაზე
 უფრო ლამაზი და გრძნობიერი რჩება მასში
 და გონებისკენ გზავნის მხოლოდ მას, რაც
 მისთვის უფრო ადვილად მისაწვდომია და რაც
 შეადგენს მის კუთვნილებას.

მაშ გონების შემწეობით ჩვენ შეგვიძლიან
 დავაფასოთ მხატვრული ნაწარმოები იმდენად,
 რამდენადაც ეს უკანასკნელი შეჰხებია მას და
 იმ თვისებით, რომელსაც მიუღწევია გონება-
 მდის.

მაგრამ განჰიას შემწეობით-კი საესებით ვერ
 დავაფასებთ მხატვრულ ნაწარმოებს, რადგან
 იმისი ყველაზედ უფრო ღრმა, ლამაზი და
 გრძნობიერი რჩება გულში.

მაშ თუ ვფინდა მხატვრული ნაწარმოების
 საესებით დავაფასებ, ჯერ უნდა მივმართოთ
 გულს, თუ რა სიამოვნება, რა სიტკბოება იგ-



რძნა მან და რა სახით? შემდეგ დავეცი თხოვთ გონების ინსტიტუტურ ნაწილს, თუ იმან რალა იგრძნო? ბოლოს კი მივმართოთ ლოლიკას, მაგრამ ის ჩვენდა დაუკითხავადაც თავისუფლად წამოიძიხებს რაც მიუღია და როგორის სახით.

ჩვენ უნდა გადავიკეთო ხოლო ჩვენ სულიერ მოვლენათა ცენტრების სასტიკი მონაწილეობით, მიუღლომელ მეთვალყურედ, რადგან ჩვენ თავზე უკეთესად სხვა ვერაიენ ვაარჩევს მათ და ვერაიენ დაინახავს მათ არსებით თვისებასა და ხასიათს.

ლევ. მეტრეველი

ქართული თეატრი

მაყვალას გასამართლება და „შემოლილია“ წარმოდგენა ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით

ახლს ხილს ეოველთვის ეტანება აღმანია. ამისთანა ახლად უნდა ჩათვალის მაყვალას გასამართლება, რომელიც მოხდა 9 ანგარს სთავდასხნაურთ თეატრში. მაყურებელთა დარბაზში ტევა აღარ იყო.

მკრამ დაკმოთივლდა საზოგადოება ახლი ხილით, შწიფელ იტემ იტო ხილი თუ არა, —ა საკითხი! მთელი საზოგადოების აზრს ამ გასამართლებაზე ვერ დავსახსიათებთ, ხოლო ჩვენი რეაქციას მოვალეა აზგარში გაუწიოს და თავისი აზრი გამოსთქვას.

უველად დავკვირდებოდა, რომ ჩვენთვის, ქართველთათვის შეტად დიდი მნიშვნელობა აქვს ამგვარ სასჯურების გამართვა.

მნიშვნელოვანია იგი, როგორც ლიტერატურული, ისევე სოციალური მხრით, ჩვენს საზოგადოებას და კამოთივლებს ვაცხადებთ და ვამედოვნებთ, რომ ეს მნიშვნელობა შეკრებული აქვს მოწინავე ინტელიგენციას, და რაც შეიძლება, სმირად გამართავს მაყვალას გასამართლებას მსგავსი სასჯურების.

9 ანგარს სასამოთხეობა გამოველით თეატრის დარბაზიდან. გასამართლებამ გვარანხად ჩაიარა. ისე გვარანხად, რომ არც კი მოველოდით გამოუცდელი თანგან.

კარგი დამტკიცება იყენს ბანი ივ. გამართელი და გ. ვაქსაყვი, რომელთაც ვრცელი სიტყვები წარმოითქმეს და დასახსიათეს მაყვალას სულიერი დარბაზი, თუმცა-კი ბრალდება ვერაიენად ვერ დარღვეეს.

ბრალდებულმა ბ-მან ნ. ღორთქიფანიძემ მოკლე დასასრულად დასაშუალი მაყვალას და საკითხი ბრალდების კარგად დააყენა.

სამსჯურად გამართდა მაყვალა.

სასიტყუოს იყო აგრეთვე „შემოლილია“ — წარმოდგენა, რომელშიაც ნიჭიერი მსახიობი ვლ. მესხიშვილი ჰრალეიკას როლს ასრულებდა.

„შემოლილია“ მსახილოკოური ეტოვდა, და ვლ. მესხიშვილმა მშეკენურად კადმოკვტა ეოველი წვრლიმანი თავისი როლისა და საზოგადოება აღტრებაში მოიყვანა.

მესხიშვილისთან შეტნებული თამაში იშეათა ჩვენს სცენაზე და, რასაკერეველად, აღტრებაზე გამოიწვია. ეოველი ნაბიჯი მესხიშვილის, ხმის ახლდება-დაწვევა, მიხვრა-მოხვრა და მდიდარი მიმიკა ისეთიანად იყო შეყვრებული ჰრალეიკას სულიერ მდგომარეობასთან, რომ შეკვიდიან ვსოქვით — თამაში მისი ხელაფურთა იყო.

სხვა რალეის აღმსრულებელნიც კარგად იყენენ და მუშაობს ეტობდათ.

ერთი სიტყვით, წარმოდგენა ხეირანია იყო. რალეების ცოდნა ეველას ეტობდა და ამით შაბბეკდილება გუშუთისეს.

ზეუსი თითონ მესხიშვილის-მიერ იყო დადგული; ესეც დაეტოვარწმოდგენას.

იმედია, ჩვენი მსახიობნი ხლანსანად კანკრდობენ მუშაობას და ამით ცოტათი მანტ წინ წასწევენ უკან დარჩენილ საქმეს.

კონსტან-ანდრონი



...მსხვერპლად შეეწირო

„შეიხია გული სველითა კრთოლასი!..“

ნ. ბარათაშვილი

მკუნსარე სიმებს ჩავვრინ-ჩავწანს სულს კეკეთების ხმა იღვშლია, და შეკაქსოვე გრძნობას დულილს დეთაური ცეტხლის ცოური აღი...



მთრთოლავრე სიმებს ჩამოკვარ ხელი, ცის ჰრმონიანს შეუუხმტბაღე; და ქენჭიან ვავარზე მიკრულს ჩემს სტრთფოს წმინდ ტრთეალი მსხვერპლად შეესწირე!..

კ. ფშაველი

წყურვილი

დრამა 3 მოქ. 4 სურ.

მოკმედევა პირველი

II სურათი

მოქმედნი:

უსინათლო	მათია
მამა ილია	მოურავი დიდი ბატონისა
პეტრია	ბებია
მინა	მართა
გოგია	ქაქალა
ტატი	და დამსწრენი: ქალი და
სენე	კაცი.

სცენა: დაქანებული ველია. აღმოსავლეთით—უკან—მოყოლებული მაღალი ქვითკირის კედელი; ამ მხრიდან ოდნავლა მოსჩანს ეკლესიის ჯვრის თავი: ხოლო იმის უკან შორით მყინვარის მთის თავი, თეთრად დათოვლილი. მარცხნივ ჯაგებია, ხოლო მარჯვნივ სასაფლაო მორდილ დაზვრულ გაღვენანი ეკლესიით. კედელი მხარ-მარჯვნივ დახსტიანებულია, ეტყობა მოზრდილ წყაროს ნაკვალი, სასაფლაოს თავში მარცხნივ მიმავალი.

I

უსინათლო, ქაქალა, სენე, მათია

უსინ. (ასმის გაზარულ ზარის ნეღი ხმა. ხაუზის შემდეგ შეგნადან) მესმის, მესმის სოფლის ზარის ხმა...

ქაქ. (შეგნადანვე) სოფლის სასმენად, ჩემო საპია.

უსინ. (შთახლავებულა) მესმის, შვილო, მესმის... (შემოდის ქაქალას ხელმძღვანელობით. მოსდევს: სესე და მათე) უსინათლო ვარ, ჩემთვის მზე აღარა ბრწყინავს; ხოლო მესმის; სმენით-კი, შვილო, მესმის...

სენე. მერე, რა გესმის, ჩვენო ბერია?

უსინ. რა მესმის?!.. სასაფლაოს გაბზარული ზარის ხმა! გაბზარულ ზარის ხმა...

მათე. (აქ-აქ შემოდან უმაწვავლა ბაჭუბა) მე-კი სულ ეგრეთი მახსოვს...

სენე. რამ გაბზარა? უთოოდ გეკოლინება.

რამდენიმე ხმა გვიამბე, გვიამბე!..

დანარჩენნი აბა, აბა?!..

მათ. მე-კი სულ ეგრე მახსოვს, რაც თავი შემისწავლია.

უსინ. არა, შვილო, იგი წმინდა ნინოს დროის ჩამოსხმულია...

მათ. (გაწვეკტიანეს) მაშ, რალამ დაზიანა?!
სენე. როდის გაიბზარა?!..

რამდ. ხმა გვიამბე, გვიამბე!..

დანარ. აბა, აბა?!..

უსინ. ჯერ ისე ვთქვა-კი ეიყავ, რომ ეს ზარი სოფლისა, დღეს გაბზარული, ეკიდა ამა ტაძრის სამრეკლოზე დაუზიანებელი. მაგის წმინდა ხმა სოფლის ბოლოში თვით ყრუსაც-კი გულში სწედებოდა. ცისკრის დროს ამის ან-კარა წყრილა ხმაი თვით მიძინარესაც მსწრავლ აღვიძებდა. ლიტანიობას ამა სოფლის ტაძარში გვიწოდებდა და ქრისტიალდგესა სოფელი ერთმანეთს აქ ულოცავდა...

რამ. ხმა (შოთმქნაღ) რალამ გაბზარა?!..

დანარ. რამ დაანგრა?!..

უსინ. ცოდვამა, ცოდვამა!..

საერთო ხმა როგორა, როგორა!..

უსინ. ჯერ ისე ჩემის ბატონის აქ ყოფნაში ჩემმა ქალბატონმა დღევანდელმა ჩემმა დედინაცვალმა მარიამმა აქ ინახულა დიდი ბატონი. უღალატა ჩემ კეთილს ბატონსა და შეეთვისა ჩვენთვის უცხოთა მკაცრსა ბატონსა. ამა ტაძრისა მოძღვარი ჯვარს არა სწერდა, მათ შეუღლებას ჩვენად სთვლიდა. ამისათვის ხელი შეახეს ჩვენს წმინდა მოძღვარსა და გაუყენეს იგი ჩემის ბატონის შორეულ გზასა...

რამდ. ხმა მერე იქარწინეს!..

უსინ. „ძალა აღმართის მხენელია!“ ბატონებმა ძალა იხმარეს და ჯვარიც მორჩილით გადაიწერეს. სოფელი განზე იღვა, თითქო გაშტრებული, ხმას არ იღებდა... მაგრამ ზეცამ-კი არ შეიწყინარა; კამარა ცსა ღრუბელი გადაეფარა; ასტყდა ხშირი ქუბილი, მას მოჰყვა წვიმა კოკასპირული.. ვერც-კი მოასწრო ჩემმა შვილმა ამა ტაძრისა კარის დახურვა, რომ უცხად იღვავა, იქექა, ვით რისხვა, და მეზი დაეცა...

მათ. (ასმის იგავე ზარის ხმა, ხოლო უფრო მსამე) შენ შვილს დაეცა?!..

უსინ. არა, თვით ტაძარსა; ხოლო ჩემს შვილსა გული გაუსკდა, ამის მნახველსა... მას შემდეგ ჩემის ეს ზარი გაბზარული და ეს ტაძარიც, ჩემის სოფლის წმინდა სავანე, დანგრეული... ჩემი შვილიც ამა ლოდისა ქვეშ განსვენებული... მე უსინათლოს, მას შემდეგ მზისა უხილავს, მესმის მხოლოდ ამა ზარის ხმა...

მარტო მე მესმის მის საიდუმლო გლოვისა
გაბზარული ხმა...

II

ვიწიანო, ილია, პეტრია, მიხა, გოგია, ბებია,
მართა, ტატე, და სხვანი.

მათ. სად არის, სად ღვთის სამართალი?...
(მადლა ხელუბის ანუთობით)

ტატე. არა, არა! იგი რო იყვეს, განრის-
ხდებოდა...

მათ. მეხს მათ დასცემდა!...

პეტ. მთლად განადგურებდა...

უსინ. ვინ სკოდებს ღმერთსა?!... არა, შეი-
ლო, იგი არსებობს...

ილ. იგი თვით ჩვენში, ადამიანიში არს.

მათ. უკმაყოფილოდ და გაუბეჯად ბუბუბუბებს
არსებობს, არსებობს...

ტატე მერე, სად არის, სად?! აგერ, დი-
და ბატონი ტყესაც-კი ეკლიან ღობეს ავლებს...

ჩამდ ხმა (გაგვირგვინული) ღობესა ავლებს?!...

პეტ. (დადონქუღა) არც იქ შეგვიშვებს...

გოგ. მერე, რაღას უყურებთ?! ნუ თუ ბა-
ტონისაგან არ გჯერათ?...

პეტ. აღარ შეგვიშვებს, აღარ შეგვიშვებს...

გოგ. რაღას უყურებთ, დავაქტოთ, რომ
იგიც ამ კედელივით არ გამაგრდეს...

ჩამდ ხმა წავიდეთ, წავიდეთ...

ტატე თორემ შემდეგ ვინანებთ...

ჩამდ ხმა (ახარებუნ წასვლას) წავიდეთ, წა-
ვიდეთ..

უსინ. მოიცადეთ, შესდევით!...

ბებია ნუ აჩქარდებით...

გოგ. (შესდევს უკმაყოფილოდ) ნუ აჩქარ-
დებით?!...

ფამდ ხმა (უკმაყოფილოდ ბრუნდებას) ნუ
აჩქარდებით, ნუ აჩქარდებით...

უსინ. ეს ხმა ზარისა, რისთვისაც გიწვევთ,
ჯერ მოისმინეთ.

ჩამდ ხმა (მათა, რომლებიც არ დაძრულან)
მოისმინეთ, მოისმინეთ...

უსინ. (ზარას რეკვა მძამეთ მოასმის და ხელ-
ნუას სწავება) ხალხის ზარის ხმაც ისმინეთ...

ჩამდ ხმა (მათ შორის, რომლებიც არ დაძ-
რულან) უსმინეთ, უსმინეთ...

ბებია ხალხნო, ვინ არის აქ წეს-რიგის დამ-
ცველი?..

უსინ. მეთაური ავირჩიოთ, მეთაური

ჩამდ ხმა ავირჩიოთ, ავირჩიოთ..

ტატე გოგია, გოგია!

ჩამდ ხმა (მათ შორის, რომლებიც გოგას
მისდევნენ) გოგია, გოგია!...

უსინ. ჩვენი მოძღვარი მამა ილია, ამაში
გამოცდილია!

ჩამდ ხმა (შეთრე მხარე) ილია, ილია!...

ტატე კარგით, იყოს მამა ილია.

ბებია მამა ილია, მამა ილია..

უსინ. იგი უფრო გამოცდილია.

საერ. ხმა (გარდა რამდენიმესი) ილია, ილია..

ილ. „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“. (მის-
წევებს ზარას ხმა) გემორჩილებით. ვერა დღეუდ-
გები სოფლის სურვილსა.

მარ. (ბუბანს ხმამადივ) ქალების აზრიც
ხომ საზიაროა?

გოგ. ქალებსაც ჰქონდეთ უფლება მონა-
წილეობისა.

ბებ. ბრწყინვალე თამარის დროიდანა
გვაქვს, შვილო, ეს უფლება..

უსინ. ბრძენ შოთასგან ნათქომა: „ლე-
კილომის სწორია, ძუ იყვეს, თუნდა ხვალა“..

ილ. არა მგონია, ჩვენში აქ ვინმე იყვეს
წინააღმდეგი.

პეტ. განვაგრძოთ, განვაგრძოთ.

ილ. ვითხოვ წეს-რიგსა. რომელსა სურს
ლაპარაკი?

გოგ. მე მსურს.

ილ. გისმენთ.

გოგ. მთელი სოფელი ციებ-ცხელებამ შეიპ-
ყრო. დიდსა თუ პატარას ადამიანის ფერი აღარ
ადევს, უმრავლესობა დოვინათა წესს. სო-
ფელს მზე ენატრება, მას-კი, აი, ეს კედელი
ეთარება, სოფელს წმინდა ანკარა წყალი სწყუ-
რიან, მის ნაკადულს-კი აღშობს, აი, ეს ქვით-
კირი; ხოლო მოძმენი ჩვენი, მთელი სოფელი,
იმ მღორე მღვრიე ჰაობიან წყალსა სმენ.
მზე თავის გულუხვ სხივებით ბრწყინავს, ხოლო
ვაუმადარი ბატონი, ამა მთელ სოფლის
მბრძანებელი, მას გვიბზობს; ამისაც არ გვაქ-
მარებს, ტყესაც დაგვიბზობს. ჩვენ-კი მოხრილნი,
ვით საქონელი უღელ ქვეშა, ვითმენთ სნეულ-
თა კენესას ხანისა ქვეშა. ვინ ააყუდა, აი, ეს
კედელი? მთელმა სოფელმა ბატონის ბრძანე-
ბითა, ხოლო ჩვენდა დასაბნელებლათა, დასა-
სნეულებლათა. მაშ თუ ვგრძნობთ: ჩვენ სიბნე-

ლესა, ჩვენს სწულეობასა, რაღას ვუყურებთ? დავაქციოთ ერთის ძალით და ღონით!

რამდ. ხმა (ზთავა წამოადგება) დაევანგრიოთ! დაევანგრიოთ!... დავაქციოთ!...

ბებ. (შეხედავს იდაას) ფრთხილად, შევიღებო, ფრთხილად...

უსინ. ჩემთვის მზე აღარ ბრწყინავს.. ხოლო მესმის ხალხისა ზარი.

ბებ. „ორჯელ ვაზომე, ერთხელ ვახიეო“. მაგის აშენება ადვილი იყო, ხოლო დაქცევა...ცი...

პეტ. (შეხედავს იდაას) ი, ბატონი აშენება-ში ჯილდოს გეაძლევდა, დაქცევაში-ცი, რა ვიცი...ცი...

გოგ. რაც მოგვივა მოგვივა, უნდა დავაქციოთ!

რამდ. ხმა დაევანგრიოთ! დავაქციოთ!...

ილ. ხალხნო! დაწყნარდით. ახლა მე მომისმინეთ...

უსინ. უსმინეთ, უსმინეთ.

ილ. (წამომდგარი განაგრძობს, რა შეატყობს) გულ-ყურთა სმენა მეც დამაყოლიეთ. ძველთაგან თქმულა: „აჩქარებითა სოფელი არვის მოუქამიაო“... ნუ ავჩქარდებით. ხშირად გო-

ნერი მძლეველია ღონიერისა. იყო აქ მზე ბრწყინვალე ბუნებით მონიჭებული, ხოლო ჩვენმა სოფელმა თვითვე ააშენა ეს კედელი, ამაღლიან შო მაცხოვარი თავისუფალ მზის სხივნი...

ბებ. (თავისთავის) გაბრიყვდენ, შენი კირი-მე, გაბრიყვდენ...ცი

ილ. აქ, ამ ნაკვალევზე გადმოსჩქეფდა ანკარა წყარო და ასაზრდოვდა ჩვენს ხალხსა, ხოლო სოფელმა მისი სათავე აქოლა ამა კედლითა, თვითვე შეაყენა მისი თავისუფალი მდინარეობა...

ბებ. (თავისთავის) „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი დავითაო“...

ილ. ჩვენ დაგვემართა დიას! მაგრამ გვიან-ლა ახლა თითზე კბენანი...

გოგ. (თავისთავის) შემდეგ უფრო გვიანი...

ილ. მართალია, ჩვენვე სოფლის აშენებულა ეს კედელი, ხოლო ეს იყო სურვილი ბატონისა...

პეტ. (თავისთავის) ბატონი-ცი არ, —ასულ-თამბუთავია...

ბებ. (თავისთავის ხელგაზნაობით) ღმერთო! შენა ჰკითხე...

ილ. მაშინ თუ სოფელმა აღაშენა სურვილითა...



წაურვილი, მოქ. I, სურათი მეორე.

ნახატი ო. შმერლინგისა

გოგ. (მოუთქმნადა) სოფელს ვინა ჰკითხა?!
ეს იყო მხოლოდ სურვილი რამდონიმესი...

ტატ. მართალია, რამდონიმესი...

რამდ. აჰ! მართალია, მართალი...

ილ. შესაძლოა! მაგრამ კედელი მაინც აშენდა. მზე ბატონს მიეშუქა, ანკარა წყარომ მის მხარეს იწყო დენა. სოფელმა ბატონს ამითი ასიამოვნა, ხოლო ამ სიამოვნებამ იგი გაამეფა. ადამიანზედ უფროსობა აღარ იკმარა, დაავიწყდა ბრძანება, მეფობა თვით ბუნებაზედაც მოინდომა. ბუნებით მონიჭებული, ყველასათვის უზგი, მზე და წყარო თვით დაისაკუთრა. ამას შეეჩვია და ბუნების მეფედ გარდაიქცა. შემდეგ ეს მეგომარეობა ბატონმა დაიკანონა, მიიჩნია სამართლიან კანონად...

გოგ. ამ დაკანონებაში ხალხს არ მიუღია მონაწილეობა...

ილ. სრული სიმაბრათლეა. ხოლო სოფელი მაინც დღემდის უსრულდება ამ კანონსა...

გოგ. (აწვეუტისებს) ჩვენც უნდა იგი ძალით დავიბრუნოთ...

უსინ. ძალითა, შვილო, ძალითა!...

ყველ. ძალითა! ძალითა!...

ილ. ქეშმარიტად. მეც ის მინდა გავითვალიწინოთ, რაც ბუნებაში ხდება. ძალა ჰაერშიაც არის, უფრო ძლიერიცაა; და როდესაც მოპირდაპირე ჰაერის ძალაც ერთმანეთს შეეხეთქება, ცეცხლს აჩენს, ხოლო შემდეგ ძირს მებად ეცემა დედამიწასა, რომელიც აქრობს და აგრილებს, ვითა მშობელი. თუ არ დედამიწა, ქვეყნიერობასა ცეცხლი გაუჩნდებოდა. ეს მაგალითი ჩვენვე უნდა გადავიღოთ. ბატონი ჩვენგანვეა წარმოშობილი, ხოლო მისი ძალა ჩვენგანითვე მინიჭებული; რაც ერთმანეთს არ უნდა შეეხებოთ, არამედ ჩვენვე უნდა გავანელოთ...

ბებ. „სისხლი სისხლით არ მოიბანება“...

პეტ. მართალია, მართალი...

რამდ. ხმა მართალია! მართალი!...

ტატა (უქმყოფილად) მართალი, მართალი...

ილ. ბატონს, ჩვენგანვე გამეფებულს, აქვს ადამიანის ძალა მოპოვებული და თუ ეს ძალა სოფლისვე ძალას დავუბრუნებთ, ქვეყანას ცეცხლი გაუჩნდება.

გოგ. ნაცვლად თავისუფლება აღმოცენდება.

ილ. ეგ საიდუმლოა, როგორათაც მიზეზი ბუნების მოვლენისა. ხალხნო, ჩვენ ვერინდეთ საქვეყნო ცეცხლსა. „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“. ჩვენც მივმართოთ ხერხსა და შესაძლოა შევისრულოთ წყურვილი.

პეტრე ბრძანეთ.

რამდ. ხმა ბრძანეთ! ბრძანეთ!...

დანარ. (გარდა გოგასი და ტატესი) აბა, აბა?!

ილ. ნებით ავაშენეთ კედელი, ნებითვე დაეანგრიოთ იგი და მოვიპოვოთ მზის სინათლე ჩვენდა სადღეგრძელოთა...

რამდ. ხმა როგორ, როგორა!...

გოგ. ეგ სწორედ იგივეა, რაც მგელს თხოვნა: „კრავს ნუ შესჰამო“.

ილ. რატომ, თუ-კი მგელი დარწმუნდება, დღეს თუ ხელ იმისი ძვალი ყელზე დაადგება, დაახრჩობს,—შესაძლოა აღარ ინებოს კრავის ჰამა. ჩვენც მივმართოთ, ხალხნო, ბატონსა, გავუთვალისწინოთ ბატონს, რომ ჩვენსა და მის შორის კედელი გვიწმობს სინათლესა, გვარიღებს მზის სხივებსა და გვანატრებს მასაზრდოებელ ანკარა წყაროსა. გავუთვალისწინოთ ჩვენს ქალბატონს—მის მეუღლეს—მარიამს, რომ ამით შესაძლოა სოფელი ამხედრდეს და ვით მითდან წამოსულმა ნაქერ-ყინულმა გზა-გზა მიიკრას ფიფქი თოვლი, მოახვავოს და ყოველი ძირს დახვედრილი გაანადგუროს.

პეტ. მივმართოთ!

ყველ. (გარდა: გოგასი, ტატესი და რამოდენამე უმწეად კანისა. მახს უყოქნას) მივმართოთ, მივმართოთ!...

ილ. ამისათვის საჭიროა ამოვიჩიოთ მეთაურები, რომლებიც მიმართავენ ჩვენს ქალბატონსა, ხოლო იმის საშუალებითა ჩვენს ბატონის მოადგილე დიდს ბატონს.

პეტ. მამა ილია, მამა ილია!

უსინ. იგი უფრო, ვით წინამძღვარი, გამოცდილია.

რამდ. ხმა მამა ილია! ილია!...

პეტ. ვთხოვოთ, გავიძღვდეს მამა ილია.

ყველ. (გარდა: გოგასი და ტატესი) ილია, ილია!...

ილ. მე თხოვნა არ მინდა. მოვალე ვარ შევასრულო სოფლის ბრძანება. საჭიროა სამი



კაცი. ორიც დაასახელებთ. მათ შორის ვისახელებ გოგიასა.

რამდ. ხმა კარგია, კარგია!..

ტატი გოგია, გოგია!..

რამდ. ხმა პეტრიაცა, პეტრია!..

გოგ. ხალხნო! მტერს უნდა შეებრძოლო: ან დამარცხო, ან და დამარცხდეს. აი, ჩემი მიმართულება. ამისთვის მე არ ვემორჩილები თქვენს დადგენილებასა. ვისაც სურს ჩემს მხარეს ყოფნა — ჩემსკენ წამოვა. (გადგება განსე. ტატე და რამდინამე უმწეილი კაცი გადავა. მისა უოქმანბს) როდესაც თქვენი თხოვნა არ გასკრის მბრძანებელთანა, ჩვენ მზად ვიქნებით და მისთვის ბრძოლას მივმართოთ.

მარია მათ შორის, ბებია, ბებია!

რამდ. ხმა ბებია, ბებია!..

ბებ. არა, შეგლო! ჩემს ცოდვილს შევიღებს ვილა მოუვლის. ახლაც სხვას მივანებებ. იმ ბატონიანთა ჩემი და მია არის, თუ გსურთ, ის ჩემს მაგიერობას გასწევს..

რამდ. ხმა კარგია, კარგი!..

ილ. კეთილი. მია ქალბატონთანაც დავეახლოვებს. მაშ ხვალვე გზას გავეუდგებით..

გოგ. (თავისთვის) ცალიერი დაბრუნდებით..

ბებ. გზა... (ამ დროს მოსისმის დიდი ზარის ხმა, რაც სიტუაციას ზიროსი გასწვევით ნიშნავს. უკვლახი სკერთებთან და გასტრეპულია დაჩქარებთან) შვეილია!..

უსინ. (შემდეგ სამკურ ჩამორეკვის) ზარი დიდი ბატონისა...

III

იგინიეჟი, და მოურავი

მოურავი (რს შემოვა კედელ-კედელ შუა გულ კედელთან ამაღლებულზე დადგება, ისე თითქო კედელს მიეკრათ. რახათ. ზარის ხმა) დიდი ბატონის ბრძანება: დღეიდან აღევჩადლება სოფელს ტყით სარგებლობა. ამისათვის ამა კედლიდან მას ეკლიანი ღობე ევლებათ..

შ ბ რ დ ა

ს. გლახაშვილი

ჩ ე მ ლ ჩ ი ტ უ ნ ა ვ

სიათ მიფრინდი, ჩემო ჩიტუნავ!
ველარ მოგვარა სიფრცხეში თვალი,
როგორ უეცრად მისწედა ამ სარეს,
გადაიფრინე მთანი უვალა.
ჩემო მალსახო! რასიფის მოფრინდი
და რად მახევე შენი მშვეუება?
რად შემაყვარე, ცნაუთო თავა,
თუ გაქრებოდი, ვით მიმეჩვენებ?
შე კი, უშეიოდ ცრემლს ვღვრი მღვდარეს,
გული სეფლით მაქვს დაწყოფილი,
დავრბა ამ ქვეყნად ეთველ გუთხეში
და გეკებ, გეკებ გაცხარებულა.
აჰ, სმშობლია შემიფარავი,
უთველი მხარე, ეველა გუნჯული,
მაგრამ ვერ გნახე, ჩემო ლამაზო,
ისევე გზას გავედი გაქრებულა...
აქებ შეზობლის ბაღში ჭაჭაჭაბუბ,
იქ სტო, იქ ცუდებოთ განარეული,
იქ ასევე ნექტარს სიტგობისას,
ვინც არის შეიით შევარდულად!
აჰ, არც იქ... ბეღს მიმტუნას...
ვერც იქ გიხილე ვარდზე მკადამარე
იქც მრავალი შენს ვეგას ექებდებ,
ლფეებს იხივდებ ჩემიერ მწეხარე.
შე მათამ ვეგესამ გამითარევეს
სურვილი მსოფლიდ შენის ნახვისას.

მწარი ნაბიჯით წინ ტყუქანე;
მეფრბა, მიფადვარ შორს ზღვის ნაზირს.
ზღვა აღარ დეღავს!... ტადღებს არ იფერის,
თითქოს მივადრათი დაღუმებულა
და მის სიფრცხეზე, ვით ვთავთვითა,
შევი წვედადი გამეფებულა!
აგერ მავ კადღენ წამოკეფული,
ამაუად დასტეკერს მღუმარე ზღვას
„ცა“ ნექვს, გრეკვიხავს, კანრისხეებულა,
გაქრითას უსოდს დეღამიწას.
ვერ შემოშინა „რის“ მრისხანებამ,
მიღვარდ მიფადვარე წვეგოტს მთისას,
ვერხებ აქა ხარ, ჩემო სიტურევე!
ამ კადღეს უვადობ ტავა-ტავას!
მეცნი, ნადირნი, ამ ქვეყნის ბადწი,
ფერწეულს მართავდენ ამ მთის მწვერფალზე,
სისხლით დამიფრინდა დაღვურს უვლიდენ,
ტევერ ხმაურთიდა ამით ზარსარე.
ვხსნე ჩიტუნავ, მათ ღრთაი სეღბა,
თავს ვაღამი დატევევეული,
ის არ ვაღამიდა, არც ჭაჭაჭაბობდა, —
მწარედ ვეხსიდა დაღმინებულა.
შე-კი, ვით ვერბას, სთავუანებლის,
მის წინ დავემეი დონე-მიხიდი
და რა, ვერ მივსწედი მისსა მშვეუებას,
ზღვას შევერეო ცრემლით ნაკადულა!..

დრამის მოკლე ისტორია

3

მესამე დიდებული ტრაგედია ძველი სპერძეთისა იყო ევროპადე. იგი დაიბადა 480 წელს (ქ. შ.-მდე). იგი იყო შიდა შესარსისის; შეიწყოფა ფელსონთა და რეტიორაკ; დახლოებული იყო ფელსონთის ანკისკარესთან და სოფისტ ზნობტორთან და ზრდიკთან. როგორც ზოტიო ევროპადე კონსერსზე ზირელად 455 წ. გამოიდა, მკვრამ ზირელი გამარჯვებს ხვდა წილად მსოფლად მკორმონე წელს თავის სიღოცხლის. ისინიკი უნდა მოგისენით, რომ, მკონა, სულ ხეთჯერ გამარჯვა კონსერსზე თავის სიღოცხლემო. სხვავად და ზლიტაკურს ცხოვრებას კანმორებული იყო, თუმცა-კი თავის თხზულებაში სმონად კნობდა თანამდროე ზლიტაკურს ცხოვრებასსად და მტონედ იცვლდა თავის სამშობლოს ინტერესისინ. კარგადრამს მონერებული იყო, როცა იგი მიაწვა თავისთან მკვლახიანს მუთემ არხელასის; იქ უბედურება შეიმთხვა: როგორც გადმოცემს ტემისებს, ძლილებს დაფლითის და ამის გამთ გადაცვლად 406 წელს, ქრ. შ.-დე. ევროპადეს ბრინჯავის ქანდაკება დასდგეს ზიანელებს თეატრში ესხილთის და სოფაკუს ქანდაკებობის ერთად.

ევროპადეს თხზულებანი ჯერ ისევე ძველადვე იწყებდა სხვა და სხვა ერთი მორანს სწინადადმდგორსინ. ზოგა აქებ-ადიდებდა, ზოგა სულ ანერებდა და დასინთავ; მკვლითად, კომედიების მწერალი არისტოფანე მუდამ დასინთავდა თავის კომედიებში, როგორც დაბალი ხარისხის მწერალს.—მკვრამ როცა ევროპადეზე გვაქვს მსჯელობა, არ უნდა დავიწყეთ ის ცარმოება, რომ იგი იყო შიდა თავისი დროსი. ეს ას დრო იყო ბერძენთა ცხოვრებაში, როდესაც ხანდა ზნობტოსიული მიამართლებს კნობრად ძველს დახვრითულს მხედულებას.—ახროვნებას, ევროპადე კი, როგორც შიმდეკვარი ხანდა მიამართლებიანს, ხმს მდლად და დაუფარავად ესარსლებოდა ხანდს, ჭკობიად ძველს; ხედოვნებაჩანე ექებდა ხანდს, უფლს გზას და ძველთა ვადლებს სურდა შეესუსტებინა. იგი სრულითი ევროპადესას არ აქნებდა ესხილთის და სოფაკუს მიერ შექმნილ დინების ტრაგედიასინს—იდადურ სიამაზეს და ხეულებითი ხანსკორო კანსინეს, ანე კინს სიფაქსეს იცვლად, როგორც სოფაკლე. ძველთა რწმენსკა-ა ადრ მოქედ დაიდა ზტოვისცემით.

მის ტრაგედიაში ბედს (მდაბურად რომ ვსთქვათ, „წერას“) სულ შემთხვევითი ხასიათი ეძლევა, ე. ი, ბედი სენსზე გამოდის შემთხვევით, ისინი მამან, როდესაც ეს ვტორანთისის არის სავკრო, უნდა დად, მოულოდნელად. სორო კი მის დრამებში მხოლოდ უნდად იფრმლავ; ანთავითი დამოკიდებულება ადრ აქვს ზიესის შინაარსის.

ამასთან ერთად ევროპადეს ძლიან უფერს ევემტებით შესვაება თავის დრამების, რაც ხმონად ცულს შთასკვლილებას ახედეს; ხმონად მხედებით აგრეთვე კავანერებულს მისაწყენს მსჯელობას ამ თუ იმ სკანსხედ; ამის გამო თვით შინაარსი დრამის ჭკარგავს მომხიბვლელობას და სიდიერეს.

სამკეოროდ იგი შეუდარებელია და ძლიერი ვნებების გამოხატვაში?

მართლაც ერთს მწერალს ევროპადემის არ გამოუხატავს ასეთი შემხარავი სურათები უბედურების, გაანტერებულეთთან ბრძოლის, სიკვიის, როგორც ევროპადემ ეს მათხერს. და თითქმის სულ ხანდა უნდად ქვეყანს ვადუშლად თავის თანამედროეობა—სულთავი ცხოვრებას კაცის ტულში დრმად დაფორული.

ეველსავე ძლიან ევროპადეს ეხერებოდა ქალის ხასიათის დასწორება, და უფრო მეტად ამ ხასიათების ცულად მხარეების, რის გამოც მას მამხივე უწოდეს ქალიმთქლე.

ევროპადეს დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე იამში, რომ მან დრამისათვის მასლად ვაფართოვა; ძველი მითები სულ შესცვლად ვაფისებურად; მოქმედ ზირებად მეთეების გრად გამოთევის უბრალი ხლხი, გლახები და სწელები.

მხივე შემოდილი ზიესის დასწევისი ზნობტოკი — (წინასიტყვაობა). სამკეოროდ დაიდასკლავდა დრამების ის, რომ მოქმედობა ბუნებრივად მოქმედ ზნობთა ხასიათების მხედულობა კი არ თავებებს, არამედ რომელიმე დმერთი მკერევა ბოლოს და როგორც მისი სება იქნება, ისე ვადწელები ტმირების ბედს. ამას ჭქვანს „deus ex machina“, თუმცა ევროპადელს ბგორი ნაკლი აქვს; მანერ ერთი უმცირეს ზოტიად ითულება, დამსხერებული ჭქინდა თანამედროეობა სიკვარული; მკვრამ უფრო მეტი სხეული მოახიკვს, შემიგვ თათობში; მას სოფაკლეს სამკვლითი დრამების უწერლად და დრამტურებებ ჭქამადენ.

მის მიერ დაწერილი დრამები უნდა იყოს 92. დასწეხილად 18 დრამა; მათგან ერთი სტაროულია — „ცელაზა“ დახარხუბობანს კი რა სუკუთეობის არინს: ალცესტა, მედეა, იფიგენია ტავროდაში, შიპოლიტი და სხვანი.



სახალხო თეატრის მოღვაწენი



ბ. გოცირიძე

სკენა სკენისათვის

(როგორ ასწავლა გურულმა მეგრელს ლომის დამზადება)

მეგრელი გურულს შეხვდა...

— გამარჯობა, სკანი პატენის გურულო!

— ღმერთმა გაგიმარჯოს მეგრელო!

— სკანი ჭირიმე გურულო, მასწავლე, როგორ იციან თქვენში, გურიაში, ლომის დამზადება, მოკვდი ამდენი ჭად-ლომის ქამით, მაგიერში ჩვენში სამეგრელოში რომ მოხვალ, ისეთი ღორჯეს და მარწონს გაქიმევ, რომ შენი მოწონებულო...

— რავე მეგრელო, ლომის დამზადება არ იცი?

— ვარი პატენის! ღორღონთიმე ვარი! სკანი გული ვაფირო, მასწავლე!..

— აბა მიუტუე და ისწავლე:

(ეუბნება სხაპა-სხუპით)

წალი. იარე, იარე, იარე და ადი ზეგანზე, იქნე უშველებელი ტყავა; ეილე წალდი და კაფე; კაფე, კაფე; რომ გაკაფო იკაურობა, ეილე თობი და ფბეკე, ფბეკე, ფბეკე, ისე უნდა იყოს მოტირტილებული ზეგანი, როგორც ჩემი ხელის გული. მერე თობხე, თობხე, თობხე, რომ გათობხრო, ეილე ლომი და უფტკვიე და უქნიე; უფტკვიე და უქნიე, უფტკვიე და უქნიე, მერე — ფარცხე, ფარცხე, ფარცხე, გავა ერთი თვეი და ამოუტყუნდება მწვანეთ ლომი, წეიკვანე ნადი, გაპკარი კრიმანტული და მარგლე, მარგლე, მარგლე; კილო ერთი თვეი და გეიკეთებს თაველებს; რომ დამწიფფეს, წეიკვანე ქალები: აწიკვიე, აწეკვიე ქალებს, შეკა-

რი ძნები დააყარე ურემზე, წეილე სახლში და შეყარე ბელელში; წაწიკვული თაველები უნიკვე და უქნიე მზეზე, უნიკვე და უქნიე მზეზე, მერე, აზრე, აზრე, აზრე; რომ გააზრო — ჩაყარე საცხეველაში და ცხევე, ცხევე, ცხევე; მერე რამდენიც გეყოფოდეს ინჯრაზე, იმდენი ჩაყარე კაპანაში, წეილე ღარზე და რეცხე, რეცხე, მერე შევიდე კავზე და შეუნილობლე ნელი ცეცხლი; ცეცხლი არ იცი რა უოუნთო? ხო წადი მერეში, წეილე ხელურებაი, მოხიკვე; შეშა-შეშაზე, ფიჩხი-ფიჩხზე, ნალოზარაინალოზარაზე. გაავსე ხელურებაი და წაგორე შინისკენ, დააყარე კერისა, გოუქნიე ფიჩქას და... რავეც გავა პაწი ხანი, დეიწყებს ლომი: ჩუხ-ჩუხ-ჩუხ-ჩუხს, მიეყენებს ქაფს, ეილე ლაფერაი; არ იცი რას ქვია ლაფერაი? გამოაძრე ოდას ყავარი: თალე-არგვალე გოუკეთე ტარი, თალე-არგვალე გოუკეთე, ტარი და ქაფე, ქაფე, ქაფე, პაწი კილო და ჩიშრობს ლომი, რომ ჩეიშროს ლომმა, ეილე ჩოვანი; როვა, არ იცი რას ქვია ჩოვანი? გამოაძრე ლობეს სარი, არგვალე-თალე, არგვალე-თალე, გამოთალე უშველებელი ჯოხი და უჯგუშუნე და უქნიე, უჯგუშუნე და უქნიე, უჯგუშუნე და უქნიე, მერე ზდლოზე ლაფერაი შით და დაატყებ სუფრაზე...

— თო! პატენის გურულო, რამდენი წელაწადი უნდა მიგის დამზადება?

— წელიწადი კი არა, ერთი ზაფხული, და წასკვა სიცილი გურულს... ვ. ურუშაძე

ემბრაელ ერს (ნაღსონი)

შორს ვაზრდებოდა, შორს შენგან ერთ დეგნალო, შენ არ გამძღვდა ჩემი ჩანგი ცატრეპული, ჩემოვან უცხთა წმინდა ადიქაშ მამა-ნანათა და შარგანდეთი შემოსიდი შენი წარსული... დღესაც რომ იყო ვითა ძველად მძალეანი ნეტარი, კსდენ არ იყო ქვეყნისგან დამცარიეული და არ დეიოდეს სულ სხვა გრძობა აწ შენს გულში, ანც ვაქნებოდა სლადამისიეთი შენათ მოსული, მკვამ ჩვენს დროში, რის ტხვევათა ქაღს ჭხრი მაქსმდე და ამაღ ცაქეს შენ იმედი თავის დახსნისა, რის მსოღლდ სიკუეკ აერაღეთი პრმოს ისე ქმის, ვითა სიმბოლო შეჩვენების და შერასხევის, რის მტენი შეხნა, ვითა გრთავ ხარბი ძაღლების, გარს გემგეკვან და გგლეკუკენ საწილ-საწილად, მომეტი ნება მეც შეკრესი მებრძოლთა რაზმი — ერთ წეკვალადო — და ვაწადი შენს მორჩლ შეღლად! რ. ბებიაშვილი

სომეხთა დრამატურენი

გაბრიელ ნიკიტას ძე სუნდუკიანი, თითქმის ორმოცდა ათი წელიწადია, რაც სომეხთა მსკოვანი დრამატურგი გაბრიელ სუნდუკიანი სადრამატურგო ასპარეზზე გამოვიდა და თავისი პიესებით დიდი სამსახური გაუწია, როგორც სომხურ სცენას, აგრეთვე ქართულ სცენასაც. მისი პიესების დედა აზრი საყოველთაოა, საერთო, როგორც მოქალაქე სომეხთა ცხოვრების შესახებ, აგრეთვე ქართველთა შესაფერი.

გ. ს. დაიბადა ტფილისში 1825 წ. სწავლა მიიღო გიმნაზიაში, მერე შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში, საისტორიო-ფილოლოგიურ ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ სახელმწიფო სამსახური დაიწყო და გენერლის ჩინამდინ მიახწია.

სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 1863 წ. ვოდველით „სადამოს ერთი ცხვირა ზერია“. 1871 წ. პირველად წარმოადგინეს მისი ყველაზე საუკეთესო პიესა „ჰუზო“, რომელიც შეიქმნა სომეხთა და ქართველთა სცენის ერთ საყვარელ სარეპერტუარო პიესად, ვითარცა დრამატული კლასიკური ნაწარმოები.

სუნდუკიანს დაწერილი აქვს აგრეთვე: „სიანადა“, „დაქტუღი ფუზა“, „კაღეკ ერთი მსხვერპლი“, „მეუღლეხა“ და „ოსკან ჰეტროფანია სიპიას“.

„მეუღლენის“ გარდა დანარჩენი პიესები დაწერილია თბილისის კილოზე. მშვენივრად და ცოცხლად დასურათებული აქვს თბილისის ცხოვრება, მისი ვარამი და ლხინი, კარგი და ავი, ღირსება და ნაკილი. ყოველ მის პიესაში ძველი თაობა, ვაჟი და კნტო, დიასახლისი და მოსამსახურე, პატიოსანი და უპატიოსნო, ფოტოგრაფიულ სისწორით არის გადაღებული.

1901 წ. სომეხმა საზოგადოებამ, მასთან ერთად ქართულმა და რუსულმა სცენებმაც დიდის ამბით ილდესასწაულეს „ჰუზოს“ ოცდათი წლის თავი, და მის ავტორს — სუნდუკიანს დიდის ზეიმით სცეს პატივი.

სუნდუკიანის ყველა პიესა გადათარგმნილია ქართულ ენაზე და ქართველ საზოგადოებასაც სომეხებზე არა ნაკლებ უყვარს. რუსულად გადათარგმნილია „ჰუზო“ და „მეუღ-

ლენი“. „ჰუზო“ გადათარგმნილია ზოგიერთ ევროპულ ენაზედაც.

მსკოვანმა დრამატურგმა სიბერის დროსაც კი არ დასტოვა თავის ნაყოფიერი კალამი და დასწერა ორი პიესა „ნანოს ბოხსა“ და „სეფურული და თავსუფლება“. ორივე პიესაც გადათარგმნილია ქართულად.

უ. კ.

ჩვენი დრამატურენი

ტროფიმ რამიშვილი, ახალგაზდა დრამატურგი, სამწერლო ასპარეზზე გამოვიდა 1902 წ. მოთხრობებით „ოტოლას“-ით და „მატრო ჭადი-ფაშადა“-თ, რომელიც ქართულმა კრიტიკამ ძლიერ მოიწონა.

1904 წ. დასწერა პიესა „მეზობლები“, 4 მოქ.; 1906 წ. „ექიმი შარბაჯიანი“, 2 მოქ.; 1907 წ. „შეშლადნი“, 2 მოქ., 1909 წ. „საბუღალსწერო დამაზა“, დრამა 3 მოქ., და ვოდველი „კრიტაკოსისან“.

ზემოხსენებულ პიესათაგან ქართ. დრამატ. დასმა რამოდენიმეჯერ წარმოადგინა „მეზობლები“ და „საბუღალსწერო დამაზა“.

ორივე პიესა საზოგადოებას მოეწონა და პრესამ აღნიშნა მწერლის სადრამატურგო ნიჭი. ეს პიესები წარმოადგენილ იქმნა არა ერთგზის დაბა-სოფლებშიაც.

ტრ. რამიშვილის პიესებს განსაკუთრებული ადგილი უკავია ჩვენს დრამატოვლს ლიტერატურაში თავისი ორიგინალობით; თითქმის პირველმა მან აღნიშნა და გამოიყვანა სცენაზე თანამედროვე მებატონე თვისის გარდაბავალის მდგომარეობით, კარგისა და საგმობის მზობით; განსაკუთრებითი ყურადღებას იქცევს მისი პიესა „საბუღალსწერო დამაზა“, სიმბოლიური ნაწარმოები, რომელშიაც დიდის ცოდნით და დაკვირვებით არის აღნიშნული მობერებული წოდების გარდაშენების მდინარეობა. მესამე პიესა, „ექიმი შარბაჯიანი“, ერთსა და იმავე დროს აღნიშნავს გაბატონებულ — დამაყვებულ რეჟიმთან ბრძოლას და მეორეს მხრით მივიითიფებს საკაცობრიო იდეალებზე. აგრეთვე საყოველთაოა ვილა. „კრიტაკოსისან“, რომელშიაც დასურათებულია ჩვენებურ ყოყლოჩინა ავტორთა ავადმყოფი თავმოყვარეობა.

საზოგადოდ, ტრ. რამიშვილის პიესები



ერთის მხრით რომ აღნიშნავენ ჩვენის ცხოვრების დუბჰირს, ვათასირებულს, გაფლიდებულ მდგომარეობას, მეორეს მხრით მომავალს კვანძს მიგვიითებენ. ტრ. რამიშვილის გულის სიღრმემდე სძახს თანამედროვე უკუღმართი და ვათასირებული საზოგადოებრივი წყობილება, მაგრამ ამავე დროს გულის სიწმინდით, შუის პირველ სხივით სპეტაკს, სწამს უკეთესი მერმისი, შესტრფის ამ მომავალს და დარწმუნებულია, რომ დადგება იგი ნეტარი ხანა. დიდი ყურადღების ღირსია აგრეთვე „შეშლადნა“, სრულიად ახალის ჰანგით დაწერილი, და მიანთა უბედურ მდგომარეობისადმი საკაცობრიო გრძნობით გამსჭვალული...

ტრ. რამიშვილი ჯერ ახალგაზდაა, 35 წლისა და, თუმცა მთელს დროს კერძო სამსახურს ანდომებს, მაინც ახერხებს სამწერლო ასპარეზზე მუშაობას და, იმედია, კიდევ ბევრს ძვირფას ნაწარმოებს შესძღვნის ჩვენს ღირბს ღრამატ. ლიტერატურას. როგორც შევიტყვეთ, ამ ჟამად სწერს ახალს პიესას მომავალ სეზონისათვის. აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი პიესა „ექიმა აშრანჯანა“ უკვე სომხურად გადათარგმნეს.



ჩვენი მსახიობნი

კონსტანტინე სვ. მესხი. წელს შესრულდა ოცდაათი წელიწადი, რაც ჩვენი დამსახურებული მსახიობი კ. ს. მესხი სამშობლოს სცენას ემსახურება.

კ. მესხი დაიბადა 1858 წელს სვიმონ მესხის ოჯახში. ეს ოჯახი ქუთაისში ითვლებოდა განათლებულ ოჯახად, რადგან უფროსი შვილი გიორგი უნივერსიტეტში სწავლის დათმარების შემდეგ გიმნაზიის მასწავლებლად იყო, მეორე—სერგეი ახლად დაარსებულ ვაზთის „დროებას“ რედაქტორობდა. დანარჩენნი-კი ყველანი სწავლობდნენ გიმნაზიებში. კ. მესხი 11 წლისა გადმოვიდა თბილისში რეალურ სასწავლებელში. თეატრის სიყვარული განუცხოველდა იმ საზოგადოებაში, რომელიც ყოველივე კულტურულ საქმეს მისდევდა. ეს საზოგადოება შესდგებოდა ი. ჯავახიძის, ნ. ნიკოლაძისა, აკაკი და გიორგი წერეთლებისა, სერგეი მესხისაგან და სხვ.

ამავე პირებმა, რაკი დაინახეს, რომ კ. მესხის სასცენო ნიჭი აქვს, ურჩიეს ქართულ დასში მესვლა და კ. მესხიც დასის დაარსების შემდეგ, 1879—80 წლიდან ქართულ თეატრს ემსახურება.

კ. მესხმა თამაშისა და რეჟისორობის გარდა, დიდი სამსახური გაუწია ქართულს თეატრს თარგმანებით და პიესების გადმოკეთებით.

ოცდა ათზე მეტი პიესა—კომედიები და დრამები,—შემეატა ქართულ თეატრს კ. მესხის შრომით.

კ. მესხმა, როგორც არტიტმა, განსაკუთრებითი ალაგი დაიჭირა ჩვენს სცენაზე. ის თამაშობდა და თამაშობს ყოველნაირ როლს—დრამატიულსაც და კომიკურსაც, მაგრამ ყველაზე უფრო ეხერხება დარდიმანდებისა და სხარტულა როლების თამაშში.



სახალხო თეატრის მოღვაწენი

ნიკო გაცირიძე, სახალხო თეატრის ერთი საუკეთესო სცენის მოყვარე — მსახიობი, 15 წელიწადია სახალხო თეატრის სცენაზე დაუღალავად მუშაობს; ხშირად მონაწილეობდა და მონაწილეობს დრამ. დასში და საქართველოს დაბა-ქალაქთა სცენებზედაც. ბუნებით ნიჭიერ ნ. გ.—რა როლიც უკისრნია — დაკვირვებით და ხელოვნურად შეუსრულებია. მისს თამაშს მუდამ აღტაცებაში მოჰყავს მაყურებელი. ნ. გ. ასრულებს უმთავრესად კომიკურ, სახასიეთო როლებს. მღერის ხოლმე აგრეთვე კულეტებსაც. ამ ჟამად იგი 35 წლისა იქნება, და კვლავ ხალისიანად და უანგაროდ მუშაობს ზუბადაშვილთა სახელობის სახალხო სახლის სცენაზე.

ნ. გ. ხელოსანია, მუშაობს თბილისის რკინის გზის დეპოში და სამსახურის შემდეგ მთელი თავისუფალი დრო შეწირული აქვს სახალხო სცენისათვის.



ჩვენი მსახიობი

(მოთხრობა)

წარმოღვანის უმედეგ

II

დარო,—ასე ერქო ჩვენს მსახიობსა,—ქალი სოფლის მოძღვარ თედოსი.

თედორე დიდად პატივცემული და საყვარელი მოძღვარი იყო თავის სამრევლოში; ცხოვრობდა თავის ფოფოლია ბარბარეთი ეკლესიის ეზოშია. თუმცა გვიან, მაგრამ მაინც მიეცა ქალი, რომელსაც უწოდა დაბადების დღის სახელი დარია და ზრდიდა ნაინატრადა.

პატარაობითვე დარო მამას არა შორდებოდა და რა მოიზარდა, ეკლესიაშია-კი მასთან იმყოფებოდა; ხოლო ეს არის, რომ მას, როგორც ქალსა, ტრაპეზში არ უშვებდა, რაც მას ბრანსა გერიდა, მაგრამ დედის დარიგებას მიიწეო არ ეწინააღმდეგებოდა და გარედან შინ მამის მოქმედებას თვალყურს ადევნებდა.

დარომ ისე კარგა შეისწავლა წირვა-ლოცვა, რომ ზვირად იცოდა რამდენიმე დღესასწაულის წესი. ხვირად თავის ტოლ-მამანაგ სოფლის გოგობთანა თამაშობის დროს წამოიხსნავდა თავის დედის შალს სამოსელივითა და მთელს წირვას გამოიყვანდა.

მოიზარდა და მამამ მიესცა იგი საყვარელი სასწავლებელში, რომელიც საუყუთესოდ დაამთავრა ღ მამამ სიხარულით დააბრუნა სოფელში.

ამის შემდეგ დაროსათვის მამა ზრუნავდა, რომ მისთვის კარგი საქრმო ეშოვნა. უშოვნა კიდევ თავის ნაამხანაგარის შვილი სამღვდლო, რომელსაც თავის სამრევლოში ათავსებდა, მაგრამ დარო მას არ გაჰყვა.

დაროს თავის მამისადმი დიაცენის შვილი, სემინარიიდან გამოგდებული, გიორგი უყვარდა, რომელზედაც პატარაობისას თამაშობაში არა ერთხელ ჯვარს იწერდა.

თედორე და ბარბარე ქალის სურვლს ვეღარ აღუდგნენ და დიაცენის შვილ—გიორგის სიძობაზე დაჰკაბულდენ.

თედორემ ბევრი ჩვენება-მუდარის შემდეგ, სადაც ჯერ-არს, როგორც იყო, მოახერხა და სიძე მთავრად მოამზადა. ის იყო, რამდენიმე კვირის შემდეგ უნდა ეკურთხებინა თავისი სიძე, რომ თედორეს ოჯახს უბედურება დაატყდა...

ამ სოფელში, სადაც სცხოვრობდენ, ბოქალულომა გლენსა სცემა, რასაც შეესწრო გიორგი, რომელმაც ვერ მოითმინა, წაექომაგა და შემდეგ ისე გააწვავდა, რომ იგივე მთხარი, სამთავროდ გამზახდებულმა გიორგიმ, ბოქალუს უბრუნა.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დაროს, ახალ ჯვარდაწერილი ქმარი, გიორგი, წყალკურთხევის წინა დღეს ციმპირისაკენ გაგზავნეს და მამა თედორე-ეი მეორე დღეს ამა ეკლესიაში დასასულავეს.

მას შემდეგ, ორი წელიწადია, რაც დედა და შვილი ჩამოვიდნენ ქალაქში და დარო მამიდაშვილის რჩევით მსახიობად შევიდა თეატრში.

აგერ, ახლაც დარო საბან-წაფარბული თვალ წინ ირდგენს ყოველს წარსულს და მომავალს-ეი არ ახება, ვერ ბედავს, რაიმე გაითვალისწინოს.—„იო, ეხლაც მე მემდურება დედაზე“— თქრობდა დარო, „მემდურება, და ვერც მუებნება: რატომ არ გაუთხოვდი იმანზე, რომელიც მე არ მიყვარდა; რატომ არ დავრჩი მასწავლებლად, რატომ შეველ სცენაზე“...

მართლაც დაროს დედა ბარბარე, შემდეგ იმისა რაც მან თვალი გაადგენა სახლის პატრონსა ფიქრით: „განა ჩვენთვის-ეი ხვალ არ არის ახალწელიწადი!“—მოაგონდა თავისი წარსული და ჩვეულებისამებრ დაუწყო ყველრება თავის ქალს დაროს; ხოლო ამას გულში იზარხავდა, დედობრივის სიყვარულით ლოცავდა და შემდეგ ნუგეშ-ეკებით იმედს აძლევდა: — „რა ვუყოთ, შვილო! დმერთი მოწყალეა“...

— მსახიობი დარო თედორეს ასული ბედკრულაშვილი აქა სდგას?

დაარღვა დედაშვილის სიჩუმე უცნობმა ხმამ და კარი შემოაღო.

— უწყება სასამართლოს ბოქალუსისა,— განაგრო იმანვე, რა შემოვიდა ოთახში,— თუ ერთ კვირაში არ ჩააბარებთ ორ თუმანსა, აღმასრულებელ ფურცლის ძალით ავიწერთ ყოველს ავეჯსა მედუქენ დათბოვის სასარგებლოდ.

ბ. გლახაშვილი

ეურნ. „თიბარი და ცხოვრება“

ეთის წლით დამატებინად 5 მ., ნახევარ წლით 3 მ. თითო ნომერი 10 ჟ. ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც; ხელის მოწერის დროს 2 მან., დანარჩენიც ორ ნაწილად.

ხელის მოწერა მიიღება დრ. სახ. კანტონაში ი. იმედაშვილთან, დილით 10—2 საათამდე. საღამოს 5—8 ს.

ფოსტის ადრესი: Тифлис, Контора Груз. Драм. О-ва. Гос. Зах. Имедашвили.

რედაქ.-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი